ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4011703

ნომერი: AR1606480

თარიღი : 06.06.2018

გაცემის თარიღი : 13.06.2018

გაცნობის თარიღი : 13.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ულიანოვი , N 29 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლიბანი , N 6 ; ქალაქი თბილისი , გამზირი სარაჯიშვილი , ნაკვეთი 08/078;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერთ იუმუშაქერ პ/ნ 01092003974
- გურამიშვილის გამზ.#64

ორგანიზაცია:
- იონფაშ ჯორჯია კოდი: 200271721

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ქუჩა ულიანოვი , N 29 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლიბანი , N 6 / ქალაქი თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი, ნაკვეთი 08/078, შპს „იონფაშ ჯორჯია“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.11.03.008.159), I კლასის ღობის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. ამავე დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგ - N 892017032735 31/10/2017წ. საკადასტრო კოდი N 01.11.03.008.159; ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის მონიშვნით) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ულიანოვის ქუჩა , N 29 / ქალაქი თბილისი , ლიბანის ქუჩა , N 6 / ქალაქი თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი, ნაკვეთი 08/078, შპს „იონფაშ ჯორჯია“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.11.03.008.159), I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ : საპროექტო ღობე უნდა განთავსდეს შპს „იონფაშ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ N 01.11.03.008.159 საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.